ნიანგი

19

ოქტომბერი 1990

ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. აბაშიძის



შიშველა

— ეს კაცი რატომ შიმშილობს?

— რაღაც თანამდებობას თხოულობს!..

— გაიგეთ, რა თანამდებობა უნდა, სად უნდა და სასწრაფოდ დააკმაყოფილეთ მისი მოთხოვნა! ეს გოგონა რაღაზე შიმშილობს?

— ამას ინსტიტუტში უნდა მოწყობა და...

— გაარკვიეთ, რომელ ინსტიტუტში და რომელ ფაკულტეტზე სურს სწავლა და ახლავე შეუსრულეთ თხოვნა! ამ ქალს რაღა უნდა?

— მაგის ქმარი ციხეში ზის...

— ჩაიწერეთ მაგისი ქმრის გვარი და საჩქაროდ გაათავისუფლეთ! ეს კაცი რატომ შიმშილობს?

— იძახის, საჭმელი არა მაქვს და იმიტომ ვშიმშილობო. ცოტა ყველი და პური მომიტანეთო!..

— ოოო!.. სამწუხაროდ, ამ კაცის მოთხოვნის შესრულება არ შეგვიძლია!

ა. მელაძე

ითითხაული ... ბიბლიოთეკა

ანალოგია

ვინაც გორბაჩოვს ეცინის.
ფავორიტია ელცინის!
თუმცა ელცინიც, არ იცის.
არის მიწის თუ არი ცის!
მე კი ვიცი. რომ არც ერთი
საქართველოსთვის არ იწვის!..

გულდაგულ აკოწიწებენ
„დიდი რუსეთის“ რუკასა,
ურემი ლაფში ჩაეფლო,
ყვირიან „უხნემ!“-„ნუკა!“-სა!
ეს იმის „პრიკაზს“ იწუნებს,
ის კიდევ — ამის „უკაზსა“
და ყველაფერი ძალიან
ჰგავს „ლებედ, რაკ და შჩუკა“-სა!
ეჭაჩებიან ურემსა,
ჩასწყდათ გვამი და ჯიგარი!..
დგას სიტყვის კორიანტელი,
ქრის კანონების გრიგალი!..
ამაოდ! — ხუთი წლისთავზე
ურემი ისევ იქ არი!..

ჩვენ რა ვქნათ. ვისაც დიქტატი
დაგვადეს ბორკილ-ხუნდებად?!
რაკილა დაძვრას ურემი
ამდენი ხანი უნდება,
გზას როდის ვნახავთ. — როდესაც
ურემი გადაბრუნდება?!

ალექსი ჭინჭარაული

სოციალიზმი-აბანოში

ქანცგაწყვეტილ ულაყებს
ორთქლი ასდით გავიდან!..
ისტორიის სანაგვე:
ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი — თ ა ვ ი დ ა ნ,

ჩვენ ოთხთვალა ურიკას
მოვიგონებთ თავიდან!
თუ ყარს თევზი თავიდან,
ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი — თ ა ვ ი დ ა ნ!

უცხოპლანეტელები

მე „თეფშების“ არ მჯეროდა,
წუხელ ვნახე. გამეცინა-
ისინი თუ უშველიან
ა გ რ ო მ რ ე წ ვ ს დ ა მ ე დ ი ც ი ნ ა ს!

ალბათ მალე გვეწვევიან,
თუ გვიკადრეს და ჩამოსხდნენ,
მთავარია, არ გავწბილდეთ —
მ ა რ ქ ს ი ს ტ ე ბ ი არ აღმოჩნდნენ!

ვასიკო არჩვაძე

ნიანგი

დიალოგები

— ჩემმა შვილმა სულ აიღო თავზე ხელი!..
— თავზე რომ ხელს უსვამდი, აბა, რა გეგონა?!

— ყველი რა ღირს?
— ათი მანეთი!
— ათი მანეთი?! ნამუსი გაქვს?!
— არა, მე მარტო ყველი მაქვს!

— ბარაქალა თქვენს სოფელს! მშვენიერი კულტურის სასახლე შეგმატებიათ!
— კი, კაი სასახლეა, ოღონდ კულტურისა კი არაა, თავმჯდომარისაა!

— გაიგე, პავლეს ბიჭი თავმჯდომარედ აურჩევიათ?!.
— საწყალი!
— რა საწყალი, კაცო?! თავმჯდომარედ-მეთქი!..
— აწი დაბრმავდება და დაყრუვდება, აქამდე გამარჯობის თქმას მაინც ახერხებდა ხოლმე!

— თქვენ მე საღი კბილი ამომიღეთ!
— კი მაგრამ, ვერ მითხარით დროზე?!
— როგორ მეთქვა, მე ხომ პირი მქონდა ღია?!
— გადამრევს ეს ხალხი! თქვენი პირღიობაც ჩემი ბრალია?!

რომან ზუკაკიშვილი
(საგარეჯოს რაიონი).

ცოლ-ქმარი ეკლესიაში

— ნიკა, ჩვენს შვილს ე რ ე კ ლ ე დავარქვათ!
— არა, ნატო, დავარქვათ ი ლ ი ა!
— ნიკა, გეუბნები, ე რ ე კ ლ ე სჯობია! ჯერ ერთი, რომ ერეკლემ დიდხანს იცოცხლა და მტრის რისხვა იყო! რა იქნება, ჩვენმა შვილმაც რუსთაველზე დიდხანს იაროს?
— მე მაინც ი ლ ი ა მინდა!
— ეჰ, როგორ არ მინდა, ნიკა, რომ ჩვენს შვილს თოფი ესროლონ!
— რას ამბობ, ქალო?! თოფი რატომ უნდა ესროლონ?!
— ილია ხო, თოფით მოკლეს?!
— მერე, რა?! სახელს კი არა, ჭკუა-გონებას ერჩიან!

გიგო ნინაშვილი

ფრაზები

● **ფული** ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა თ ვ ი ს მიტომ კი არ ხ უ რ დ ა ვ დ ე ბ ა, რომ სამაგიეროდ ადამიანიც დ ა ხ უ რ დ ა ვ დ ე ს ფულისათვის!

● **ჭკვიანის** წ ა გ ე ბ უ ლ ი საქმე უფრო ბევრს გვასწავლის, ვიდრე გამარჯვებული ბრიყვის მიბაძვა!

● **ზავი** მ ე ლ ა ს სიცოცხლე მუდამ ბ ე წ ვ ზ ე სწორედ კარგი ბ ე წ ვ ი ს გამო ჰკიდია!

● **ფულს** თ უ ინახავ, იქამდე ვერ მიაღწევ, რომ სიბერეში ფ უ ლ მ ა შეგინახოს!

შალვა სულამანიძე
(ქ. ტყიბული).

მინიატიურა

პიკის ს ა ა თ ი ა. გაჭედილი ტროლეიბუსი ადგილიდან ვერ იძვრის. მოთმინებადაკარგული მგზავრები ყვირიან:
— წადი! რას უდგეხარ?! წადი!
მძღოლი ოლიმპიური სიმშვიდით გზის გათავისუფლებას ელოდება.
— წადი! შეებულებაში ხომ არა ხარ?! წადი!..
— სად წავიდე?! გზა დაკეტილია! — წონასწორობიდან გამოვიდა ისიც.
— წადი! ჩადი ძირს და ისე წადი!

გელა ადეიშვილი

მეტისმეტი

სხვისთვის ჩხირს არ გაიმეტებს,
თავისთვის კი უნდა მეტი!..
სამი სახლი, ორი „ვოლგა“,
შვილი კი ჰყავს მხოლოდ ერთი!
გასივდა და გაიბღინძა,
დიდკაცობს და ესხმის რეტი,
თავი მოაქვს ბრძენთა ბრძენად,
თუმცა ჭკუით არის ცეტი!
საკბილოს თუ დაინახავს,
უკან არაფერზე იხევს!
ყველაფერი ყელამდე აქვს
და აკლია მარტო... ციხე!

ნორა გაბუნია

ნახ. ვ. კუციასი



თენგიზ გოგოლაძე

სიხარული

— რა გაბარებული მოდიხარ, ანიკო! რა მობდა, ნატვრის თვალი ხომ არ გიპოვია?

— ყველი!.. — ხული მოითქვა ქალმა, — სამი კილო ვიყიდე მაღაზიაში, ორმანეთიანი, უტალონოდ!..

— არიქა, მითხარი, სად იყო, რომელ მაღაზიაში?

— რუსთაველის პროსპექტზე, ოპერის თეატრის გადასწვრივ!

— არ მითხრა, ურიგოდო!..

— მაგას როგორ გეტყვი, ვერ ხედავ, რა დღეში მაქვს ტანსაცმელი?! ღილიც ამაწყვიტეს იმ შერეულებულებმა! მაგრამ ამას ვჩივი?! გაბარებული რომ ვარ, შემატყვე, ხომ?!. და იცი კიდევ რამ გამახარა?

ქალმა ჩანთაში ჩაყო ხელი და წითლად შეფერილი თუნუქის ცარიელი ქილა ამოიღო. ქილას ოქროსფერი წარწერები ამშვენებდა, ორნამენტები და მიხატული მედლები ამკობდა.

— ლამაზია, ხომ? კოკის გავახარებ!

კოკი, ოცდახუთი წლის მუტრუკი, დამდგარა და ხაზღვარგარეთული ლუდის ერთჯერადი სასმისების კოლექციას აგროვებს. ჯერჯერობით ქილათა რაოდენობა ცოტა აქვს, ის, რაც მაცივარზე ეტევა. მაგრამ იმედოვნებს, რომ მალე ცარიელი ქილების რიცხვს საგრძნობლად გაზრდის და საგანგებო თაროებზე შემოაწყობს. ამას წინათ შევიარე მეზობლისას და სიამაყით მიჩვენა ლუდის ცისფერი, მწვანე და ნარინჯისფერი დიდ-პატარა ქილები.

— ცარიელი რა არის, ხავსე მოიტა! — შეევეხუმრე კოკის.

მან სევდიანად ჩაიცინა და მხრები აიჩეჩა.

— ჩვენ ვინ გვაღირსებს ამის დალევას!

— ხომ შემოაქვთ?! თანაც ნაირ-ნაირი!..

— აბა, ცარიელ ქილებს ხომ არ შემოზიდავდნენ! ლამაზია, ხომ?

— კი, ლამაზია, მეტისმეტად ლამაზი და მიმზიდველი, ამასთან მადის აღმძვრელიც. რას იტყვი, არ არიან სადისტები ეს კაპიტალისტები?! უყურე და იოცნებე! — ცეცხლზე ნავთი გადავუსხი ყმაწვილკაცს. კაპიტალისტებზე ჩავიღრინე. გული კი ჩვენს უნიათობასა და უგერგილობაზე მომივიდა.

მეც ბავარიული ლუდი მოვინდომე, რაღა! „თბილლუდის“ „სლავიანსკოე“ აღარ გნებავთ?! „სლავიანსკოე“, რომლის საცალო ფასი ბოთლიანად 44 კაპიკია, ჩვენი გასტრონომის ნამუსგარეცხილი გამყიდველი კი, ისე, რომ ნიკოლოზ რიეკოვს საქონლის გაძვირებაში არ შეუთანხმდა, 60 კაპიკად ყიდის! აბა, შებედე რამე! თვალებს ისე დაგიბრიალებს, დახლზე ისეთი მრისხანებით გადმოეყუდება, შიშის ურუანტელი დაგივლის და გაჩენის დღეს გაწყევლინებს!

და, აი, კოკის დედას, ანიკოს, სადღაც გადაგდებული ენახა ლუდის წითელი, თანაც ცარიელი ქილა და შვილთან სიხარულით მიმქონდა.

ძვირფასო მკითხველო, თქვენ თუ დაგილევიათ ასეთი ერთჯერადი სასმისით უცხოური ლუდი? დაგილევიათ? შეგარგოთ უფალმა! ალბათ სათანადო არხები გაქვთ მდიდარ ქვეყნებთან და თავისუფლად მოგდით, არა?

შ ე გ ა რ გ ო ბ!

შ ე გ ა რ გ ო თ!

ვისაც თქვენი შეშურდეს, „სლავიანსკოე“ დაადგეს ყელზე!

აჰ, თქვენ არ დაგილევიათ? და არც ეს ჰურჭელი გინახავთ?

წარმოიდგინეთ, მეც არ დამილევია და ასე ლამაზად მოხატული ფერადოვანი ქილებიც პირველად კოკის მაცივარზე ვნახე.

თურმე ხავირო ხაქმეს ეწევა კაცი. რას ერჩი! მნახველიც ეყოლება და მომწონებელიც! ოღონდ ერთი შეცდომა მოსდის: ფირმებს არაფერს ატყობინებს, რომ მათი საქონლის რეკლამას ეწევა. მერედა. როგორი მონდომებითა და გატაცებით! გასამრჯელო ხომ ეკუთვნის რეკლამისათვის? ეკუთვნის! ფირმერები და კორპორაციები რეკლამაში მილიონებს ხარჯავენ. აქ კი, ხაცოდავი კოკი, ბავარიული ლუდი რომ ენატრება, ნერწყვის ულაპვითა და ხაზოგადოებრივ ხაწყისებზე (მუკთად!) რა დიდ ხაქმეს ეწევა. „მადამაა“ კაპიტალისტებისათვის!

მოდი და, გული ნუ მოგივა! ჯერ იყო და, ბურჟუებმა სიხხლი გაუშრეს პროლეტარებს. ხული ამოხადეს მშრომელ. ღატაკ ხალხს და მიახიკვდილეს! კიდევ კარგი, ხამყაროს მოევლინენ მარქსი და ენგელსი და დროზე გაისროლეს ლოზუნგი რაღას უყურებთ თქვე ხაცოდავებო, პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო:

დაუჯერეს პროლეტარებმა. შეერთდნენ და ამ შეერთებული ძალებით კიდევ უფრო ააყვავეს კაპიტალისტური ხამყარო! რას გავს ეს?! განა ამას მოუწოდებდნენ კომუნიზმის მამები?!

არ იქნა კაპიტალისტების მოსვენება. დღეს ისევ გვიტევენ, ისევ გვალიზიანებენ და ნერვებს გვაწყვეტენ!.. ეს ჩვენი ხალხიც რომ ამაყვა! არც გვერიდებიან, ტელევიზიით ისე ხშირად გვიჩვენებენ დასავლეთის ქვეყნებს, მათ ხურსათ-ხანოვაგით ხავსე მაღაზიებს, ფერად-ფერადად შეფუთულ ხასმელ-ხაჭმელებს. გვიჩვენებენ და თან „ვრემიაში“, „გლობუსში“, „ვზგლიადსა“ თუ „სტო დვაცატ მინუტში“ მოკრძალებით გვიხდიან ბოდიშს, გვაპატიეთ, ასეთ რაშეს რომ განახვებთ და გაღიზიანებთო!

ოჰ, ეს კაპიტალისტები! გასუქდნენ, გალაღდნენ, თავიანთი პროლეტარებიც გაასუქეს, გაალაღეს, გადაიბირეს და ახლა ჩვენკენ გამოიწიეს, გვიყიყინებენ. ჩვენი იწამეთ, აგავხებთ და დაგაპურებენ!.. გესმით, ხაბოლოოდ რას უმიზნებენ? უნდათ, რომ სიხარული მოგვისპონ!

დიახ, სიხარული, შიგადაშიგ რომ გვეწვევა ხოლმე!

ნეტავი იმ დღეს ანიკოს სახე გენახათ, რა ბედნიერებით იყო გაციხკროვნებული, რა ზღვა სიხარულს მოეცვა მთელი მისი არსება!

განა ასე გაიხარებდა, ხანოვაგით ხავსე მაღაზიაში ყოველდღიურად რომ ევლო ახალ-ახალ ხასმელ-ხაჭმელზე? აბა, რა სიხარული უნდა მოგანიჭოს ყოველდღიურმა სიუხვემ?! გაქრება ძველი ნეტარება! მაღაზიიდან მაღაზიაში ცარიელი ჩანთით რომ დაწანწალებ, ეძებ, ეძებ და უცემ, ხედავ, რიგი დგას! გული აგიფანცქალდება, ხალისი გაგიჩნდება, იმედი გაიღვიძებს, შეგანჯღრევს და გამოგაფიზლებს! რას აძლევენ? ხაპონს! არიქა, ბიჭო, ღმერთმა გადმოგვხედა! მართალია, რიგში მიგზელ-მოგზელენ, ხამაგიეროდ ჩანთაში ათ ცალ ჩუმ-ჩუმად გაძვირებულ ხაპონს ჩაიწყობ და სიხარულიც დაგეუფლება! აბა, მეორე სიხარულიც: რას აძლევენ? უმარილო კარაქს! ბე, ბიჭო, აქაც ღმერთმა გვიშველა!

განა ცოტაა ერთ დღეს ამდენი სიხარული?!

სწორედ ეს უნდათ, რომ მოგვისპონ და მოგვიშალონ, მოსაწყენი და მოსაყირჭებელი გაგვიხადონ ცხოვრება!

და თუ მაინც მოხდება რაღაც ხასწაული და ჩვენს მაღაზიებში დახვავდება დოვლათი, თანდათანობით მაინც გაკეთდეს, რომ ხალხი ნელ-ნელა შეეჩვიოს, უცებ ელდასავით არ დაეძგეროს ყველას ის რაღაც... დიახ, რაღაც, რომლის წარმოდგენაც უმეტესობას ძალიან გვიკვირს!

მანამდე კი, სანამ ეს ზღაპრული დღე დადგებოდეს, ძვირფასო მკითხველო, ვისაც თავისუფალი არხები გაქვთ მდიდარ ქვეყნებთან და იმპორტულ ლუდსაც არ იკლებთ, ჩემი თხოვნა იქნება, სანაგვეში ნუ გადააგდებთ ლუდის ცარიელ ქილებს, ეგებ როგორმე მიაწვდინოთ კოკის! ლუდი თქვენ შეგარგოთ ღმერთმა, იმას კი ცარიელი ქილებითაც გაახარებთ!

ლია სვანიძე

„24 საათი ქალის ცხოვრებიდან“, ანუ „ბედნიერი ვარ!“

ცნობილია, რომ ბედნიერება შემოქმედებითი შრომის პროცესია. პირადად მე ძალიან ხშირად ვიწვი და ვიდაგები შემოქმედებითად. მაგალითად, შევიძინე პალტო, რომელსაც ცალი სახელო მოკლე აღმოაჩნდა. ერთსაათიანი ფიქრისა და პატარა ნერვული დაძაბვის შედეგად მებადება ბრწყინვალე იდეა — მეორე სახელოსაც ვამოკლებ! დასაგრძელებლად ვყიდულობ სხვა ფერის ნაჭერს, ვაყოლებ სიმეტრიულად ორივე სახელოზე, რის გამოც პალტო უფრო ორიგინალური გამოდის. ახლა ბავშვის პალტოებსაც ხომ ორ, სამ ფერში ქერავენ! აი, კიდევ ერთი მაგალითი: ვყიდულობ სვანურ ქუდს, ვაყოლებ გარშემო ვიწრო თეთრ ბეწვს. გამოდის შესანიშნავი შლაპა! თუ მამაკაცები ქალის ბერეტებს იხურავენ, რათა ლამპიონებით გაჩირაღდნებული კრიალა მელოტი დაიფარონ, ვითომ, რატომ არ შეიძლება ქალებმა სვანური ქუდები დაიხურონ? უფრო მაღლებიც გამოჩნდებიან, შუბლებიც არ გაუცივდებათ და ყურების ახვევაც ადვილია კაშნეთი, თუ აცივდება. ჩემი ალალი შრომით შექმნილი სილამაზით ფარშავანგივით გაამაყებული, ღიმილით ვესალმები ნაცნობ-მეგობრებს და განა ეს ბედნიერება არაა?

ყოველ დილით 6 საათზე ვდგები, რათა მთლად ტრანსპორტზე არ ვიყო დამოკიდებული. თუ საათნახევრიანი ლოდინის შემდეგ ავტობუსი არ გამოჩნდა, ერთ საათში სამსახურამდე სწრაფი ძუნძულით მაინც მივალწევ! ეს იგივე სპორტია და ჯანმრთელობას მმატებს. თუ ბედმა გამიღიმა და ავტობუსის კიბეს ერთი ფეხით მაინც ჩამოვეკონწიალე, ხომ კარგი! — ერთი საათით ადრე მივალ სამსახურში და რით არის ეს ცუდი? — გადავიკითხავ ძველ ჟურნალ-გაზეთებს და უკეთ მოვამზადებ ჩემს სამუშაო ადგილს. მართალია, ორიოდე საათის შემდეგ, ქსოვით გადაღლილს, ჩემი ლოგინი, ან საკარძელი მომენატრება ხოლმე, მაგრამ ამ დროს შესვენებისათვის მზადების ფუსფუსი იწყება და ყავის მირთმევის შემდეგ გამოცოცხლებულს შემიძლია სულ თავისუფლად განვაგრძო შემოქმედებითი წვა, ესე იგი, ქსოვა. ზოგი ამ დროს ჭადრაკს ან შაშს თამაშობს, ზოგი ჭორაობს, ზოგი მტრედებს ხატავს!.. ვიღაც კი ყველას მაგივრად სცენარს წერს მომავალი ტელეგადაცემისათვის. რას იზამ? — ყველას თავისი ჰობი აქვს!

სამსახურიდან დაბრუნებულს, ეჭვი არ მეპარება, რომ კიდევ ერთხელ შევიგრძნობ ბედნიერებას. პურის რიგში თუ მხოლოდ ოცდაოდე კაცი დგას, იმ წამს სასიხარულო აზრი გამიელვებს თავში: „სულ ნახევარი საათი მომიწევს რიგში დგომა! ეს კი გაცილებით უკეთესია, ვიდრე ერთი საათით დგომა!“ პურით ხელდამშვენებული კიდევ დიდხანს დავრბივარ ტრამვაისა და ავტობუსს შორის, და, ეჭვი არ მეპარება, რომ ერთ-ერთში მაინც ავალ როდესმე! მიზნის მიღწევა და უფასო მასაჟის დაწყება — ერთია! გზაში უსაშველოდ გაყინულს ძალიან მსიამოვნებს ხალხმრავალი ავტობუსის სითბო! ამ დროს პური ხელიდან თუ გამივარდება, არაფერია! ვიღაც უეჭველად თავს გაწირავს და, თავების მიღმა, ჯენტლმენურად გადმომაწოდებს! დაიმახსოვრეთ! — ეს სწორედ ის ბედნიერი წამია, რისთვისაც ღირს ცხოვრება! ამის შემდეგ არ არის გამორიცხული, ვინმემ დაჯდომაც რომ შემოგთავაზოს, ვინაიდან იალქანივით მოქანავემ, შესაძლოა ვერც კი შენიშნო, შენი წვრილქუსლიანი ფეხსაცმლით როგორ შეადგები მჯდომარე ლიპიან კაცს ფეხზე. ის უცებ მაგრად შემოგიკურთხებს, მაგრამ უეჭველად წამოხტება სიმწრისაგან. აი, აქ კი უნდა ისარგებლო და უყოყმანოდ დაჯდე! დაჯდომისას თქვენ უეჭველად შენიშნავთ ქალების შურიან გამოხედვას. რა უნდა იყოს იმაზე საამო, როცა შენი შურთ და გულზე სკდებიან?! ზიხარ შენთვის მტრედივით წყნარი და მწყაზარი; ვითომც ვერ ამჩნევ, რომ თავზე დაგდგომია შენზე ხნიერი, ორივე ხელდატვირთული, ფერმიხდილი ქალი, რომელიც, სადაცაა, წელში გადატყდება, ვინაიდან ისე ქანაობს, როგორც მტირალა ტირიფი ქარში!.. გვერდს გიმშვენებენ სწავლამოწყურებული ახალგაზრდები, რომლებიც თავდახრილები ახალ გაზეთებს კითხულობენ!..

შინმისულს თვალწინ მეშლება ოჯახური იდილია: ქმარი სავარძელში თვლემს, ტელევიზორის წინ, გაზეთით ხელში. იქვე ჩემი გვანცა თოჯინას შუაზე ჭრის, რათა გაარკვიოს, რა არის შიგნით. მე არაქათგამოცლილი რაღაცას ვრეცხავ, ვხარშავ (თუ საპონი და სურსათ-სანოვაგე მაქვს!) და, ბოლოს, გვანცას ვაძინებ. ქმრის ბუზღუნი ნანინასავით ჩამესმის ყურში!.. ათი საათისათვის ჯანმრთელი ძილით უცებ სიზმრიანში აღმოვჩნდები!..

არც ძილის წამალი მჭირდება და არც სხვა რამ!..

დიახ, ბედნიერი ვარ, ბედნიერი!

ნახ. მ. აბაშიძისა

ლეპოტი სოხუმი მუსიკოსის

●

როგორც წვეთებს, —
ჯარისფაული ხეებით
შეინარჩენა რომ
საკადენციო ხარდა, —
არაფერი ფანტრითად
ეტყო,
ფიფქად უკან
დაბრუნებინა ჯარდა, —
არა.ა.
ხაკა გამისარდა ხელი
და დარდის, თითქოს,
ფაფარ ხიბილი ბარდა, —
არაფერი მიძებნია
მეტი,
ვ.ზ.ეანს,
შენთან მოსახვედელის
ჯარდა!
ა.ტ.ი.ნ.ი.ა
რომ ვიგერიდა ლეზრით
და ლრეზელეს
დამეკარეხან ბაკიდა, — —
არაფერი არ მიმხოდა
მეტი,
ტ.ი.ბ.ა.ნ.ი
შენთან ბოლოდ
ბაკეთილლის ჯარდა!
ფ.ა.ბ.ა.ვ.ა
შენს ოფის
ერთი ხმა და
შენი სიხმელის
დახაკლრელი წვეთი. —
ოაკადან ეოოეს.
შენი ფერის ჯარდა,
არაფერი არ ეოოეს
მეტი!

●

ანდანტე. ბიუტერი!
ბაზოთი ბეეროა:
ეირეანეკა. ეზეოა.
ეკიანი და კარაფინ
ბანაპდეე. ხდოიანეი
(ხაფეე ოე ენეოა)
რაბდენეი (ბაბდენეკენ)
მეტია ლაბალი!

●

ბარ ხიმშვიდის
ერთადერთი ნუფეენი დ.
ეკეოდენი ბაკის —
ინდიდის ხიბვალთის!
ეინ ბაბრეკელის,
შენთან ეოოეს თუ
შ.ე.ბ.ნ.ი.ა,
ეზეეი. ბერკენ
ბ.ა.ბ.ა.ვ.ე.ლ.ი.ა,
რამ ბანლოთ?!
ეოოეაეკ. ბეოინი,
ფლეთანდელი,
შ.ე.ნ.ლ.ი.ა.

ბრაკეს ეზედაკ
ბაბნე თვალთა
ბიკარეეზის!
ბეშინია.
კი, ოიეთ არ
ბეშინია,
ბაკრამ ბარკი
დაბეეეი
ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ!
ერთი ეოკი,
ეენაეეი ირაფერი:
ხრიკვ ბოეკარეს
ბრრენი ბეეერი
ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ!
ბაბ ეეშინალი. —
ეოოეალეკერ
ფ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ
ხელი ფლეზდე
ოფეი ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ!
ეკეოდენ!. ბაოა
ეკეოკეფინ.
ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ
რომ ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ
ბ.ბ.ბ.ბ.ბ.ბ.

ВЛАДИМЕР ТОРДУА

ПИСХАЛ-ПИСХАЛ

ВИКТОВ ნათესავი! მყოლია თურმე იგი სამასი წლის წინათ, და აღმოუჩენია თავის გენიალურ თანამედროვეს ჟან დე ლა ბრუიერს! მაპოვნინა კი სულმნათმა რუსუდან დოდაშვილმა!

ზუსტად როგორც ის შორეული ნათესავი, მეც მოკრძალებით განზე გაწდგომილმა, პირად ცხოვრებაში ბედს ვერასოდეს ვეწიე! მოკრძალება მძიმე ტვირთად მაწევს! გარეული ვარ ბრბოში და მჭყლეტენ!.. ამოვირჩიე მოუხერხებელი ადგილი და იქვე დამტოვეს!..

როგორც იმ შორეულ ნათესავს, მეც მყავს საპირისპირო ძალა, აგრეთვე ბრუიერის მიერ აღმოჩენილი — აღზევებული ადამიანი. მის მხრივ წმინდა თვალთმაქცობაა, თუ მაშინვე არ დაიკავებს მისთვის განკუთვნილ ადგილს, რასაც ყველა უთმობს. არაფერი უჯდება, იყოს მოკრძალებული, გაერიოს ბრბოში, რომელიც მისი გამოჩენისას აქეთ-იქით იხევს, თავყრილობაზე სადღაც მიიკუჭოს, რათა ყველამ თვალი მოჰკრას და კისრისტეხით მიირბინოს, აქაოდა, სად დაბრძანებულხართო, და სათანადო ადგილი მიუჩინოს.

იმ შორეული ნათესავის გენი გამომყოლია — მიყვარს განმარტება, დაკვირვება, ფიქრი, ანალიზი, საზოგადოებაში გარეულს მრავალსიტყვაობა არ მჩვევია და არც კალამს ვატან ძალას, ვწერ მხოლოდ იმისათვის, რომ ვთქვა, რასაც განვიცდი. ეს არის გულისტკივილი ადამიანისა, რომელსაც ცხოვრების უკეთესობა აიძულებს, გახდეს დამცინავი, გამკილავი და ხანდახან ენამწარეც! არ მოვითხოვ მოწონების შედახილებს და ოვაციებს! სიცოცხლეს ვალევ ადამიანებზე დაკვირვებას, თავს არ ვზოგავ, რათა შევიცნო მათი ბანკიერება და სისუსტე.

* * *

სულმნათი ტიციანის თქმისა არ იყოს, მე არ ვწერ ომზე, ომი თვითონ მწერს!

* * *

შენ თავი შემაყვარე, დიდო სამამულო ომო, როგორც მეცხრე ტალღამ, თავზე რომ გადამიარა, მაგრამ არ დამახრჩო, მაინც ამომაყვინთა.

* * *

ბოლოს და ბოლოს, რად მახრჩობს წარსულის ნოსტალგია? რას მივტირი — ობლობას, შიმშილს, სიტიტვლეს, ომებს, უუფლებობას, პიროვნების გათელვას, მუდამ თან რომ მდევდა?! — არა! მე მივტირი ჩემს ახალგაზრდობას — ჩავლილ-ჩანავლილს, უკანმოუხედავად გაფრენილს!..

* * *

ერთმა კრიტიკოსმა მომკლა. დამარხვა გადახურვით მოხდა — დიდძალი შემოწირულება შემოვიდა — მკითხველთა მრავალი წერილი ჩემი დაფასებისა, იმ კრიკოტოსის უსამართლობით აღშფოთებისა.

* * *

კვირით კვირამდე ბრძოლებიდან გამოუსვლელი, უბანელი, ფიცხელი განკარგულებით საკომანდო პუნქტში გამოძახებული, მედლის გადმოცემის ცერემონიამ შემახვედრა პრავდისტ პოლევოისთან, როცა იგი, სარდლობის სასურველი სტუმარი, ჩაის მირთმევდა. რაოდენ სასიამოვნო შემექნა „დივიზიონკელ" თორდუას, ამ შეზღუდულ ვითარებაში, სარდლობის წინაშე გამოჭიმვისას მხედრულად ხელის აღება და ამით დაკბენილი იღლიის ცოტათი მაინც გამოქავება!..

* * *

ჩემი ბედის გამგებელთა ადამიანობა რომ ამომეწურება, ღვთის ანაბარა ვრჩები. და რა გგონიათ? — გადმომხედავს ხოლმე. მირიადი საქმით დაკავებული, ჩემგან პირს იბრუნებს თუ არა, მაშინვე დამესევიან ავისმდომნი. სანამ კვლავ არ გადმომხედავს უფალი, რა თქმა უნდა, მთლად გულხელდაკრეფილი არც მე ვარ — შემოვრჩენ შემწეობას მეც ვიწევ.

* * *

დღევანდელ ინდუსტრიულ რომანისტებს შორის რას გამოჩნდება პაწაწინა ნაწარმოებთა შინამრეწველი!

* * *

დეიდეოლოგიზაციური ჩანაწერებიდან: არაერთი „ბისის" მიუხედავად, მსახიობის გამოუსვლელობით მოლოდინგაცრუებული აუდიტორიის მინავლებული კანტიკუნტი ტაშივით სცემდა ზშირ ფართო ფოთლებზე გადაკარებული წვიმის ბოლო მსხვილი წვეთები.

* * *

პირველი საანახაობა. ახალმობილიზებულთ ავეპალის შესაკრებ პუნქტში მეთაურებმა ჭკუის სასწავლად რომ გეიჩვენეს დეზერტირის სიკვდილით დასჯის ცერემონია იყო.

* * *

რაც თავი შევიცან, მუდამ დამარცხებული შევიქენ სიყვარულში. ამით გაწაწამებმა, არ მახსოვს, ჰე, როდის, შევლაღადე ზეცას: უფალო, ნუ შემაყვარებ სიცოცხლესაც, თორემ, ხომ იცი, სიყვარულში ბედი არ მიწერია-მეთქი!

ჩანს, აუღწევია ღაღადისს, რომ მას აქეთია, დამატარებს ამ წუთისოფელში, შეძულებისგან გახანგრძლივებული სიცოცხლით.

* * *

არეის ჭალავ, რუსეთისა, უსახელო მაღლობთან! — შენს უბეში მჭონდა დანიშნული პაემანი ჯარისკაცს!

ვერ გამოაღწია სასროლეთს!..

და ვიხდი მას აქეთ მოლოდინის წლისთავებს, იმედების წლისთავებს!..

* * *

— თქვენი საფრონტო ნოველების თარგმნა მავნე საამქროში მუშაობად უნდა ჩამეთვალოს — გული მეთუთქვის! — მე ხომ იმ ომიდან შინმოუსვლელის ქალიშვილი და ამ ავლანეთიდან დაუბრუნებელის ბებია ვარ!

* * *

მწერლისათვის მოვლენები მიმოპნეული მარცვლებია, შემოქმედება ის ქვაბია, რომელშიც აბოჭილი, დარჩეულ-დარეცხილი ეს მარცვლები ჩაიყრება. ფანტაზია წყალია, რომელშიც ეს მარცვლები უნდა მოიხარშოს! შემოქმედის წვა ცეცხლია, ამ ქვაბს რომ შეენთება!

და იქმნება საზრდო სულისა, აგრერიგად ყველა რომ ეტანება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერ გიცნო ჩვენმა ძაღლმა, შვილო! აიღე თოხი და მოიგერიე!
— მამი, სულ რომ შემჭამოს, თოხის ხელში აღება არ ვარ!

ნიკო ბოჭორიძე
(ქ. ქუთაისი)



ბარათეში «ნიანგს»

ძმაო ნ ი ა ნ გ ო! თბილისთან, სამგორში, არსებობს ქვემო ალექსეევკის დასახლება. იქ არის რესპუბლიკური მნიშვნელობის ბაზები და იმ ბაზებს აქვთ კახეთის გზატკეცილიდან მისასვლელი მოასფალტებული სამანქანო გზა. მერე რა, რომ წინა წლებში გზა დანგრეული და ორმოებით იყო სავსე! მართალია, ავტომანქანები განიცდიდნენ დეფორმაციას, სამაგიეროდ მძღოლები არ დადიოდნენ სწრაფად, ამავე დროს იქვე მდებარე „ს ა ქ ს ო ფ ლ მ ო მ ა რ ა გ ე ბ ი ს“ რესპუბლიკური ბაზიდან გამოტანილი ამორტიზატორების სიმკვრივეს ცდიდნენ!..

ბოლოს ალიარეს და, წილობრივი მონაწილეობით დააგეს ასფალტი. თუ გნებავს, ბუნების სილამაზით „დ ა ტ კ ბ ე“ და გაიგო, როგორი ხარისხის რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს უშვებენ ჩვენი ქარხნები, იმოგზაურე აღნიშნულ გზაზე; იყურე მარჯვნივ და მარცხნივ, სადაც რეგულარულად იყრება რკინა-ბეტონის დამტვრეული ფილები, სიმკარები და კოჭები!..

რამდენი ათასი მანეთის ზარალი აქვს სახელმწიფოს, რამდენი თანხა დაიხარჯა დამტვრეული და გადაყრილი კონსტრუქციების რკინაზე, ცემენტზე და ინერტულ მასალებზე!..

სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელები და მძღოლები, რომლებიც სამშენებლო ნაგვით „ამშვენებენ“ ქვემო ალექსეევკის დასახლების ტერიტორიას, ალბათ ხშირად სვამენ ხოლმე საქართველოსა და მისი ბუნების სადღეგრძელოს!.. მიხედე ამ საქმეს, ძმაო ნიანგო!

ჯანო გიორგელაშვილი

პატივცემულო ნ ი ა ნ გ ო! ჩვენს დედაქალაქში საკბილოს რა გამოგილევს, მაგრამ ერთი არცთუ ცინცხალი ამბავი მეც მსურს გაცნობო: თბილისის მშვენება — რკინიგზის ვაგზალი ხომ იცი? მოდა, თუ ვაგზლის შენობა თავისი გრანდიოზულობით [illegible] რებს, იქ არის ერთი პატარა ობიექტი აბრით: „სადგურ-თბილისის [illegible] კვების კომბინატის საპელმენე“, რომელიც თვალს გვივსებს და ჩვენი ისედაც გათხელებული ჯიბის ხარჯზე სხვათა ჯიბეს ასქელებს!..

საპელმენეს ვიტრინა-მაცივარში საუზმეთა ბედურის სამყოფი ულუფებია გამოფენილი, ვითომცდა, ულუფის სახით ასეთივე გასაცოდავებული ოდენობის პილმენსაც შემოგთავაზებენ! ხშირად ჩაცივებულ ლუდსაც ყიდიან, თორემ, თოკითაც რომ მოქაჩო, აქ სხვა რამისთვის არავინ შევა!

ვერ გეტყვი, რა ხერხითა და ოსტატობით, მაგრამ მოდღლეზილი ჭაბუკი, მოზვერს რომ ცალი ხელით კუდით დაიჭერს, დასხმის დაწყებისთანავე ლუდს თვალსა და ხელს შუა ქაფად აქცევს და, თუ ნებისყოფა გეყო და ქაფის „დაჯდომამდე“ მოიცადე, არც მეტი და არც ნაკლები, ხელში მხოლოდ ნახევარი კათხა ლუდი შემოგრჩება!..

ნათქვამია, ტარანა თვლით არისო. მოდა, ჩვენც ვიანგარიშოთ: კათხა ლუდში (უფრო ზუსტად, ნახევარ კათხაში) აქ 50 კაპიკს ახდევინებენ! ოთხი კათხა ლუდი, ე. ი. ერთი ლიტრი, ორ მანეთამდე ანუ სამარკო ღვინის ფასი ჯდება!

ამ უმსგავსი საქციელის გამო რამდენჯერაც ლუდის გამყიდველს შენიშვნა მივეცით, იმდენჯერ ისტიბარი არ გაიტეხა, ირონიულად შემოგვხედა, თავის სასარგებლო და ჩვენთვის საზიანო საქმე არხეინად განაგრძო!.. ალბათ ზურგის ძარღვი აქვს გასქელებული; უფრო ზუსტად, როგორც ვაჭრები იტყვიან, წელი აქვს მაგარი!

პატივცემულო ნიანგო! იქნებ შენს ხახაში მოქცევით დაუშრიტო ვაჭრობის ასეთ ვაიმუშაკებს პარაზიტული გზით გამდიდრების წყარო!

ბელა ბელოვანი

— იმდენი ქნა ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, რომ მთელი ქონება ძაღლს შეაჭამა!

ნახ. ჯ. ლოლუასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. პეტრიაშვილისა



თავსაჯდომარი

№ 618
13.XI 90

ყურმოკრული ანეკდოტები

ენაგლუ ტ უ ა ი ა ტაქსის მძღოლად მუშაობდა. გზად მიმავალმა ტროტუარზე, ავტობუსის გაჩერებასთან მდგარ ქალს მოჰკრა თვალი. ქალის სილამაზით მოხიბლულმა ტუაიამ, როგორც ეს მამაკაცებს ჩვევიათ, გულის მოსაფხანად შეიგინა.

ქალმა დაიმახსოვრა ტაქსის ნომერი და დირექტორთან უჩივლა. დირექტორმა დაიბარა ტუაია და მაგრად შეახურა.

ტუაიამ თავი იმართლა:

— როოგოორ გეეკაადრეებაათ, ბაატოონო დიირეექტოორო, საафიიჩხიიააზე გიინეებას როომ დაავიიწყეებ, აავტოოქაარხაანაასსთან ძლიივს ვაამთაავრეებ და როოგოორ შეეძლო ქაალს ჩეემი გიინეება გააეეგონა?!

* * *

ტუაიას ვ ა ჟ ი შ ვ ი ლ მ ა ცოლი შეირთო.

ცოლმა ტუაია განზე გაიხმო და უთხრა:

— წესი წესია, რძალს აუცილებლად რაღაც სამახსოვრო უნდა ვუყიდოთ!

ტუაიას სამუშაოზე ეჩქარებოდა და ცოლს დაუბარა, ანგარიში საღამოსთვის ჩაებარებინა.

საღამოს ცოლმა ტუაიას შესაძენი საჩუქრების გვარიანად მოზრდილი სია წარუდგინა: ბაჯაღლო ოქროს ბეჭდები, ოქროს საათი, ოქროს საყურეები, ოქროს ყელსაბამი, საგაზაფხულო კაბები, ლაბადა, „დუბლიონკა“, ორი წყვილი ფეხსაცმელი, წინდები, საცვლები და ათასი წვრილმანი!..

ტუაიამ სია განზე გადადო და შვილს დაუძახა.

— რა იყო, მამა?

— შვიილო ჩეემო, მაცი ქაალი სუუხუუმიის პლააჟიიდან ხოომ აარ მოოგიიყვაანია?

* * *

— რამ მოკლა, ბიჭო ჰიჭიკია, შენი სიდედრი?

— ნეკა თითი მოყვა კარებში!

— მერე, შუბლი რამ გაუხვრიტა?

— რომ არ ეწვალა, ტყვია ვესროლე!

* * *

ჰიჭიკიას ჟ ო რ ი ე შეხვდა და აღტაცებულმა უთხრა:

— ყოჩაღ, მართლაც კარგი ცოლი გყოლია!

— სად ნახე ჩემი ცოლი?

— გუშინ ბაზარში შემხვდა და იმდენი მაცინა, კინაღამ ლოგინიდან გადმოვვარდი!..

* * *

ჟორიე ს ა ტ ვ ი რ თ ო მანქანაზე მუშაობდა და ქუთაისვაჭრობის საწყობებიდან მაღაზიებში სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონელი გადაჰქონდა.

იმ დღეს ერთ-ერთ მაღაზიაში ფეხსაცმელები მიჰქონდა.

გზად მიმავალი ავტოინსპექტორებმა გააჩერეს.

— კარგად გიცნობთ, ჟორია! არ გაგვაწბილო, ვაჟკაცურად თქვი, რამდენი „მარცხენა“ ფეხსაცმელი მიგაქვს!

— ველარ მოგატყუებთ! თუ არ ჩამაგდებთ, გეტყვით და პატივისცემაც ჩემზე იქნება! — უთხრა და დაუმატა, — ნახევარი!

— ჰეუ! — შეიცხადეს ავტოინსპექტორებმა, — ვარიანტი არ არის, გაგიშვათ! — უთხრეს და ჟორიას თავის ტვირთიანად მილიციის განყოფილებაში უკრეს თავი!..

დათვალეს! ორასი წყვილი გამოვიდა! რაოდენობა ზედნადებს შეადარეს და სახტად დარჩენილებმა ჟორიას უსაყვედურეს:

— რატომ მოგვატყუე?! რაც ზედნადებშია, იმდენი წყვილი ფეხსაცმელი მიგაქვს!

— თქვე კაი ხალხო, აბა, რაში ვტყუივარ?! წყვილ ფეხსაცმელში ერთი მარცხენა და ერთი მარჯვენა არ არის?!

კუდამოძუებული ინსპექტორები სამორიგეოდან გაიძურწნენ.

გრიგოლ გვაძაბია

7-90
90—618
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა



— ა, ბატონო, ახლაც არ დაიჯერებთ, რომ ბელადს საქართველო ფეხებზე ეკიდა?!

ნახ. გ. ლომიძისა

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" № 19 (1821). ოქტომბერი. გამოდის 1923 წლის იანვრიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია.

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ვაჟა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა** (მხატვარ-რედაქტორი), **ნოდარ მალა-ზონია, ალექსანდრე ხამსონია, ბეჟან ხიბარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე.**

ტექნიკური რედაქტორი **ირაკლი დუნდუა**

გადაეცა ასაწყობად 3. 09. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8. 10. 90 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, მ. კოსტავას ქ. № 14. შეკვ. № 1930. ტირაჟი 125.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. М. Костава № 14.

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76137